# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტ ჯგუფი

2017 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტ ჯგუფი

## სარჩევი

გვერდი


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე....1

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში....2

**2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:**

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება....4

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება....5

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება....6

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება....7

**კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები:**

2. ორგანიზაცია....8
3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა....9
4. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები....17
5. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა....20
6. ფული და ფულის ექვივალენტები....25
7. კლიენტებზე გაცემული სესხები....25
8. ძირითადი საშუალებები....28
9. სხვა აქტივები....29
10. ნასესხები სახსრები....30
11. ანარიცხები....31
12. სხვა ვალდებულებები....32
13. საწესდებო კაპიტალი და რეზერვები....32
14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი....32
15. სხვა შემოსავალი....33
16. საოპერაციო ხარჯები....33
17. მოგების გადასახადები....33
18. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები....35
19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან....36
20. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება....37
21. კაპიტალის მართვა....38
22. რისკის მართვის პოლიტიკა....38
23. შემდგომი მოვლენები....45

# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტ ჯგუფი

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს კონტინენტალ სითი კრედიტის და მისი შვილობილი კომპანიის („ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2018 წლის 24 მაისს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი გოგუაძე

2018 წლის 24 მაისი
საქართველო, თბილისი

მთავარი ბუღალტერი
ინდირა წინწკალაძე

2018 წლის 24 მაისი
საქართველო, თბილისი

## დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტ ჯგუფის მფლობელებსა და დირექტორთა საბჭოს:

### დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს კონტინენტალ სითი კრედიტისა და მისი შვილობილი კომპანიის („ჯგუფი") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მოკლე მონახაზის ჩათვლით.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

### დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „*აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*". ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" („ბბეკ კოდექსი"). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა ბბეკ კოდექსით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას. სხვა ინფორმაცია მოიცავს ხელმძღვანელობის ანგარიშში შესულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტორულ დასკვნას ამ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება წინამდებარე აუდიტორული დასკვნის გაცემის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას მის თაობაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს სხვა ინფორმაციის გაცნობას და, ამ პროცესში, იმის დადგენას არის თუ არა სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის პროცესში მოპოვებული ფაქტების არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად მცდარი.

### ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების („უწყვეტი საწარმოს პრინციპის") უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

**აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში**

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპზე საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი არასარწმუნოება არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამის ტრანზაქციებსა და მოვლენებს ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის გეგმის შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

შპს დელოიტი და ტუშის სახელით
ჯონ რობინსონი

2018 წლის 24 მაისი
საქართველო, თბილისი

# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტ ჯგუფი

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2017 | 31 დეკემბერი, 2016 |
|---|---|---|---|
| აქტივები: | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 5 | 907 | 2,412 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 6 | 10,589 | 23,549 |
| ძირითადი საშუალებები | 7 | 284 | 380 |
| არამატერიალური აქტივები | | 16 | 25 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი | | - | 63 |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | 16 | 979 | 758 |
| სხვა აქტივები | 8 | 3,096 | 2,688 |
| **სულ აქტივები** | | **15,871** | **29,875** |
| **ვალდებულებები და კაპიტალი** | | | |
| ვალდებულებები: | | | |
| ნასესხები სახსრები | 9 | 7,581 | 23,105 |
| მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება | | 215 | 1,263 |
| ანარიცხები | 10 | 5,939 | - |
| სხვა ვალდებულებები | 11 | 170 | 268 |
| **სულ ვალდებულებები** | | **13,905** | **24,636** |
| **საკუთარი კაპიტალი:** | | | |
| დამფუძნებელი კომპანიის მფლობელთა კაპიტალი: | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 12 | 8,429 | 4,800 |
| დაგროვილი ზარალი | | (6,463) | (160) |
| სულ დამფუძნებელი კომპანიის მფლობელთა კაპიტალი | | 1,966 | 4,640 |
| უმცირესობის წილი | | - | 599 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **1,966** | **5,239** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **15,871** | **29,875** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

გენერალური დირექტორი
გიორგი გოგუაძე

2018 წლის 24 მაისი

მთავარი ბუღალტერი
ინდირა წინწკალაძე

2018 წლის 24 მაისი

8-45 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტ ჯგუფი

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | 2017 | 2016 |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 13 | 7,584 | 20,779 |
| საპროცენტო ხარჯი | 13 | (1,711) | (2,524) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენამდე/(შექმნამდე)** | | 5,873 | 18,255 |
| საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის აღდგენა/(ხარჯი) | 6 | 3,796 | (3,312) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | 9,669 | 14,943 |
| წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებზე | | 748 | (700) |
| საკომისიო ხარჯები | | (174) | (101) |
| სხვა შემოსავალი, წმინდა | 14 | 288 | 254 |
| **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი/(ზარალი)** | | 862 | (547) |
| **საოპერაციო შემოსავალი** | | 10,531 | 14,396 |
| ანარიცხების ხარჯი | 10 | (5,939) | - |
| გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსურ აქტივებზე | 8 | (2,991) | - |
| საოპერაციო ხარჯები | 15 | (4,725) | (6,862) |
| **(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადამდე** | | (3,124) | 7,534 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 16 | (88) | (1,502) |
| **წლიური (ზარალი)/მოგება** | | (3,212) | 6,032 |
| **სხვა სრული შემოსავალი** | | - | - |
| **სულ სრული (ზარალი)/შემოსავალი** | | (3,212) | 6,032 |
| განეკუთვნება: | | | |
| დამფუძნებელი კომპანიის მფლობელები | | (2,933) | 5,518 |
| უმცირესობის წილი | | (279) | 514 |
| **სულ სრული შემოსავალი** | | (3,212) | 6,032 |

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი გოგუაძე

2018 წლის 24 მაისი

მთავარი ბუღალტერი
ინდირა წინწკალაძე

2018 წლის 24 მაისი

8-45 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კონტინენტალ სითი კრედიტ ჯგუფი

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
*(ათასობით ლარში)*

| | შენიშვნა | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი) | სულ დამფუძნებლის მფლობელების კუთვნილი კაპიტალი | უმცირესობის წილი | სულ საკუთარი კაპიტალი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იანვარი 1, 2016** | | **4,800** | **539** | **5,339** | **85** | **5,424** |
| სულ სრული შემოსავალი | | - | 5,518 | 5,518 | 514 | 6,032 |
| გამოცხადებული დივიდენდები | | - | (6,217) | (6,217) | - | (6,217) |
| **დეკემბერი 31, 2016** | | **4,800** | **(160)** | **4,640** | **599** | **5,239** |
| სულ სრული შემოსავალი | | - | (2,933) | (2,933) | (279) | (3,212) |
| მფლობელისგან აღებული სესხების კონვერტირება საწესდებო კაპიტალში | 9 | 3,629 | - | 3,629 | - | 3,629 |
| უმცირესობის წილის შემცირება შპს სისი ლოუნში წილის შესყიდვის შედეგად | | - | 160 | 160 | (160) | - |
| გამოცხადებული დივიდენდები | 12 | - | (3,530) | (3,530) | (160) | (3,690) |
| **დეკემბერი 31, 2017** | | **8,429** | **(6,463)** | **1,966** | **-** | **1,966** |

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

გენერალური დირექტორი
გიორგი გოგუაძე

2018 წლის 24 მაისი

მთავარი ბუღალტერი
ინდირა წინწკალაძე

2018 წლის 24 მაისი

8-45 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
*(ათასობით ლარში)*

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:** | | |
| მიღებული პროცენტი | 8,530 | 18,471 |
| გადახდილი პროცენტი | (1,888) | (2,341) |
| მიღებული საკომისიოები | (79) | 19 |
| გადახდილი საოპერაციო ხარჯები | (5,370) | (8,706) |
| სხვა მიღებული შემოსავალი | 127 | - |
| გადახდილი მოგების გადასახადი | (1,270) | (787) |
| **ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე** | **50** | **6,656** |
| ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში | | |
| წმინდა კლება/(ზრდა) კლიენტებზე გაცემულ სესხებში | 5,907 | (5,903) |
| წმინდა კლება/(ზრდა) სხვა აქტივებში | 115 | (60) |
| **წმინდა ნაღდი ფული საოპერაციო საქმიანობიდან** | **6,072** | **693** |
| **ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:** | | |
| ძირითადი საშუალებების შესყიდვა | (90) | (213) |
| არამატერიალური აქტივების შესყიდვა | (8) | - |
| **საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული** | **(98)** | **(213)** |
| **ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან:** | | |
| შემოსავალი სხვა ნასესხები სახსრებიდან | 3,960 | 15,030 |
| სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა | (8,930) | (11,076) |
| გადახდილი დივიდენდები | (2,457) | (6,217) |
| **საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული** | **(7,427)** | **(2,263)** |
| **წმინდა (კლება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში** | **(1,453)** | **(1,783)** |
| **ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისში** | **2,412** | **3,966** |
| ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე | (52) | 229 |
| **ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლოს** | **907** | **2,412** |

დირექტორთა საბჭოს სახელით:

გენერალური დირექტორი
გიორგი გოგუაძე

2018 წლის 24 მაისი

მთავარი ბუღალტერი
ინდირა წიწკალაძე

2018 წლის 24 მაისი

8-45 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## 1. ორგანიზაცია

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს კონტინენტალ სითი კრედიტი („კომპანია") რეგისტრირებულია საქართველოში 2012 წლის 6 მარტს. კომპანიას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ") და მისი საქმიანობა წარიმართება „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად. კომპანია ფლობს ეროვნული ბანკის მიერ 2012 წლის 5 მაისს გაცემულ მიკროსაფინანსო საქმიანობის ლიცენზიას №583.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა იპოთეკური და სალომბარდე სესხების გაცემა. 2017 წელს კომპანიამ დაიწყო უზრუნველყოფის გარეშე სამომხმარებლო სესხების გაცემაც.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 23-23ა.

2014 წლის 27 აგვისტოს კომპანიამ დააფუძნა შვილობილი კომპანია შპს სისი ლოუნი („შვილობილი კომპანია"), რომლის ძირითადი საქმიანობა იყო ფიზიკურ პირებზე ონლაინ სესხების გაცემა. 2017 წლის 29 ნოემბერს მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შპს კონტინენტალ სითი კრედიტმა შეისყიდა უმცირესობის წილი შპს სისი ლოუნში და მოახდინა შვილობილი კომპანიის შერწყმა.

2017 და 216 წლების წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის უშუალო მფლობელია კვიპროსში რეგისტრირებული კომპანია შპს კონტინენტალ სითი კაპიტალი („მფლობელი").

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს კონტინენტალ სითი კაპიტალის ოპერაციების საბოლოო მაკონტროლებელი ფიზიკური პირები იყვნენ:

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2016 |
|---|---|---|
| რატი ჭელიძე | 50.00% | 50.00% |
| ვიკა ბაშიროვი | 16.67% | 16.67% |
| გაი ბენ-ლევი | 16.67% | 16.67% |
| დავიტ უზარაშვილი | 16.67% | 16.67% |
| **სულ** | **100%** | **100%** |

## 2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

**შესაბამისობის ანგარიში.** წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი არის უწყვეტი საწარმო და ფუნქციონირებას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარმოდგენილია ათასობით ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულებით ასახვას, რაც ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებშია აღწერილი. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ჯგუფი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია და მისი შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული კანონით განსაზღვრული საბუღალტრო ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფასს-ის მიხედვით. ჯგუფი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია შენიშვნაში №21.

**ფუნქციონალური ვალუტა.** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას („ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი"). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ღირებულებები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

**ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება, მოახდინოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს ურთიერთჩათვალოს იგი წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულები. კომპანია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება არ ქვითავს

შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან კომპანიის ბუღალტრული პოლიტიკით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

**კონსოლიდაციის საფუძველი.** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის მიერ კონტროლირებადი პირის ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა, როდესაც კომპანიას გააჩნია:

- ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე
- მონაწილეობა ან უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე; და
- ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობა ინვესტორის უკუგების ოდენობასთან დაკავშირებით.

კომპანია აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტირების ობიექტს, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ ზემოთ მოყვანილი სამი ელემენტიდან ერთში ან მეტში მოხდა ცვლილება.

**უმცირესობის წილი.** არასაკონტროლო წილები წარმოადგენს შვილობილი კომპანიის მოგების, ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, აგრეთვე წმინდა ატივების იმ წილს, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად კომპანია არ ფლობს.

არასაკონტროლო წილები წარმოდგენილია აქციონერთა კაპიტალისგან განცალკევებულად მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, აგრეთვე საკუთარ კაპიტალში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**ცვლილება ფლობილ წილებში.** დამფუძნებლის ფლობილი წილის ცვლილება, რომელიც არ იწვევს შვილობილი კომპანიის კონტროლის ცვლილებას, აღირიცხება როგორც წილობრივი ტრანზაქცია. თუ დამფუძნებელმა კონტროლი შეინარჩუნა, იგი შვილობილი კომპანიის აქციების გაყიდვისას მოგება-ზარალში მოგებას ან ზარალს არ აღიარებს. ასევე, თუ შვილობილ კომპანიაში დამატებითი წილის შესყიდვის შედეგად კონტროლი არ შეცვლილა, დამატებითი შესყიდვის კორექტირება არ აღირიცხება. ამის ნაცვლად, უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულება ისე კორექტირდება, რომ მასში აისახოს შვილობილ კომპანიაში ფლობილი უმცირესობის წილის ცვლილება. სხვაობა კორექტირების თანხასა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში და განეკუთვნება დამფუძნებლის მფლობელებს.

**ბიზნესების კომბინაცია.** შვილობილი სტრუქტურების შესყიდვა შესყიდვის მეთოდით აღირიცხება. ბიზნესების გაერთიანებისას გადარიცხული ანაზღაურება აისახება რეალური ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის მიერ გადაცემული აქტივების, შესყიდვის ობიექტის ყოფილი მფლობელების წინაშე ჯგუფის მიერ გაწეული ვალდებულებებისა და ჯგუფის მიერ შესყიდვის ობიექტის კონტროლის სანაცვლოდ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის დღეს დაფიქსირებული რეალური ღირებულებების ჯამს. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები ჩვეულებრივ გაწევისას აისახება მოგება-ზარალში.

თანასწორთა შერწყმა, რომლის დროსაც დაახლოებით ერთი ზომის ორი პირი ერთიანდება და კომბინირებულ პირზე კონტროლს ინაწილებს, ითვლება ბიზნესების გაერთიანებად და შემსყიდველი ტრანზაქციას ზემოთ აღწერილი შესყიდვის მეთოდით აღრიცხავს.

შემოსავლების აღიარება

***საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება.*** ფინანსური აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც ივარაუდება ჯგუფის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღება და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა.

საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებულ ღირებულებას, რომლის საშუალებით საპროცენტო შემოსავალი, ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტების ჩათვლით) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა

საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

**საკომისიო შემოსავლების აღიარება.** სესხის გაცემის საკომისიო გადავადდება სესხთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულება შედეგად, სესხების კონკრეტულ გარიგებას მოიტანს, მაშინ სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება სესხთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც შესაბამისი სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სასესხო ვალდებულება შედეგად სესხების კონკრეტულ გარიგებას მოიტანს, სასესხო ვალდებულების საკომისიო აღიარდება მოგება-ზარალში ამ ვალდებულების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. თუ სასესხო ვალდებულების ვადა დასრულდა სესხის გაცემის გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიო აღიარდება ვადის გასვლის შემდეგ მოგება-ზარალში. სესხის მომსახურების საკომისიო შემოსავლად აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ. სესხის სინდიცირების საკომისიო მოგება-ზარალში აღიარდება სინდიკაციის დასრულების შემდეგ.

ყველა სხვა საკომისიო აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში.

***ფინანსური ინსტრუმენტები.*** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. რეგულარული ხასიათის შესყიდვა-გაყიდვა არის ფინანსური აქტივების ისეთი შესყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივის მიწოდებას ბაზარზე დადგენილი წესით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. ტრანზაქციის ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

**სესხები და მოთხოვნები.** სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე (მათ შორის ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნების ნაშთები, კლიენტების სესხები და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები". სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც უმნიშვნელო მოცულობისაა.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება.** ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორიცაა დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას; ან

- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

სესხებისა და მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს ჯგუფის წარსულ გამოცდილებას გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, დაგვიანებული გადახდების რიცხვის ზრდას, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების დაკვირვებად ცვლილებებს, რომლებიც შესაბამისობაშია მოთხოვნებზე არსებულ დეფოლტთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასასული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარებული ოდენობა წარმოადგენს სხვაობას აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია, იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება რეზერვის ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებასა და ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

**სესხები, კონტრაქტის შეცვლილი პირობებით.** სადაც ეს შესაძლებელია, ჯგუფი ცდილობს, უზრუნველყოფის დასაკუთრების მაგივრად მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი საპროცენტო გადაკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება გადავადებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

**სესხებისა და მოთხოვნების ჩამოწერა.** სესხებისა და ავანსები ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობამ ამოწურა ჯგუფის მოთხოვნების ამოღების ყველა შესაძლებლობა და მოახდინა ყველა შესაძლო უზრუნველყოფის რეალიზება. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღდგენის პერიოდში აისახება.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** ჯგუფის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა, ან თუ ჯგუფმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ იგი არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტისას, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ მოგება-ზარალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგებასა ან ზარალის ჯამს შორის სხვაობა ექვემდებარება აღიარებას მოგებასა და ზარალში ექვემდებარება.

ფინანსური აქტივის ჩამოწერისას არა სრულად (მაგ. როდესაც ჯგუფი ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის ოფციას), იგი ამ ფინანსური აქტივის წინა საბალანსო ღირებულებას მის მიერ კვლავაც აღიარებულ ნაწილსა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილს შორის ანაწილებს აქტივის გადაცემის დღეს ამ ნაწილების ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ნაწილის საბალანსო ღირებულებასა და მის სანაცვლოდ მიღებული მთლიანი ანაზღაურებისა და მასზე

მიკუთვნებულ მთლიან მოგებასა და ზარალს შორის, რომელიც უკვე აღიარებულია სხვა სრულ შემოსავლებში, აისახება მოგება-ზარალში. მთლიანი მოგება ან ზარალი, რომელიც მანამდე აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში, კვლავაც აღიარებულ ნაწილსა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილს შორის დგინდება მათი ფარდობითი რეალური ღირებულებების საფუძველზე.

**ფინანსური ვალდებულებები.** ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად იზომება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

შემდგომში ფინანსური ვალდებულებები იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ეფუძნება ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას. მისი საშუალებით საპროცენტო ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების გადახდების (მათ შორის არის ყველა გადახდილი ან მიღებული საკომისიო და ქულა, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ ფასდათმობების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან თუ ეს მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

**ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა.** ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

**ფული და ფულის ექვივალენტები.** ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ნაღდ ფულს ბანკში, რომლის ვადიანობა 90 დღე ან ნაკლებია.

**დასაკუთრებული ქონება.** გარკვეულ გარემოებებში აქტივების დასაკუთრება ხდება კრედიტის გადაუხდელობის შემთხვევაში. ჯგუფი დასაკუთრებულ ქონებას განიხილავს, როგორც დეფოლტიანი სესხით მისაღები თანხების მიღების ფორმას და რომ ის არის ბიზნესის წარმოების პროცესში შეძენილი და გასაყიდად განკუთვნილი აქტივი.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი უმცირესით საბალანსო ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათ შეძენაზე რეალურად გაწეული ხარჯის საფუძველზე, რაც მოიცავს შესასყიდ ფასს, მათ შორის არადაბრუნებად გადასახადებს და სამუშაო მდგომარეობასა და ადგილზე აქტივის მიტანასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. შემდგომში ძირითადი საშუალებები აისახება ისტორიული ღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

ცვეთა აღიარებულია ისე, რომ ღირებულება ჩამოიწეროს მათი სასარგებლო მოხმარების პერიოდის მანძილზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. დადგენილი სასარგებლო მოხმარების პერიოდი და ცვეთის მეთოდი განიხილება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების, ნებისმიერ ცვლილების ეფექტის გათვლისწინებით, რომლის აღიარებაც ხდება წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდიდან ყველაზე ადრეულთაგან მოყოლებული შემდეგი წლიური განაკვეთით:

| | |
|---|---|
| შენობები | 2%-5% |
| კომპიუტერები | 25% |
| ავეჯი და საოფისე მოწყობილობები | 25% |
| ტრანსპორტი | 20% |
| იჯარით ფლობილი აქტივის გაუმჯობესება | 20-30% |
| სხვა | 25% |

იჯარით ფლობილი აქტივის გაუმჯობესების ღირებულება ამორტიზდება აქტივის მთელი მოხმარების ვადის განმავლობაში. რემონტთან და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება მაშინ,

როდესაც ისინი გაიწევა და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ კაპიტალური ხარჯების კატეგორიაში არ მოხვდა.

ძირითადი საშუალება ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ძირითადი საშუალებების ერთეულების გაყიდვით ან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

**არამატერიალური აქტივები.** ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში პროსპექტიულად ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით.

**არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა.** არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

**მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება გუდვილის გარდა.** თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი განიხილავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა ჯგუფი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

განუსაზღვრელი მოხმარების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და ისეთი არამატერიალური აქტივები, რომლებიც ჯერ მოსახმარად მზად არაა, გაუფასურებაზე მოწმდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ ან ნებისმიერი ნიშნისას, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურებული იყოს.

აღდგენითი ღირებულება არის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დღევანდელ ღირებულებამდე ექვემდებარება დისკონტირებას გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება დაუყოვნებლივ მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯი განიხილება, როგორც შემცირება გადაფასების შედეგად.

გაუფასურების გაუქმების შემთხვევაში, აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება გაუქმებული თანხით ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ განხორციელებულა. გაუფასურების დანაკარგების გაუქმება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ხარჯის გაუქმება განიხილება, როგორც ზრდა გადაფასების შედეგად.

**გადასახადები.** მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს.

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადი აღიარდება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაკავშირებულია სხვა სრული შემოსავლის იმ პუნქტებთან ან ტრანზაქციებთან, სადაც მოწილე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. ასეთ დროს ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

**მიმდინარე გადასახადი.** მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის წლის დასაბეგრი მოგების მოსალოდნელი გადასახადი, რომელიც გამოითვლება საანგარიშო დღისათვის სრულად ან არსებითად ძალაში შესული განაკვეთით და წინა წლებში გადასახდელი გადასახადის კორექტირებით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი კომპანიების მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ასევე ცნობილია როგორც კომპანიათა დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომლის ამოქმედების შედეგად, დაბეგვრამ დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან გადაინაცვლა მოგების განაწილების მომენტამდე. კანონი ძალაში 2016 წელს შევიდა და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის ყველა პირისათვის გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიცაა ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც ის ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

***გადავადებული გადასახადი.*** გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება ისეთ დროებით საგადასახადო სხვაობებზე, რომლებიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის აღრიცხულ საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის.

ვალდებულებათა აღიარება არ ეხება შემდეგით გამოწვეულ დროებით სხვაობებს: გუდვილი, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის არ გამოიქვითება; იმ აქტივების ან ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება, რომლებიც ზეგავლენას არ ახდენს ბუღალტრულ ან დასაბეგრ მოგებაზე; შვილობილ კომპანიებში, ფილიალებსა და ასოცირებულ პირებში განხორციელებული ის ინვესტიციები, რომელთა მეშვეობით დამფუძნებელს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის აღდგენის დრო, თუ ეს დროებითი სხვაობა განჭვრეტად მომავალში, სავარაუდოდ, არ აღდგება. გათვალისწინებული გადავადებული გადასახადის ოდენობა ეფუძნება 2019 წლის 1 იანვრამდე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების რეალიზაციის ან დაფარვის სავარაუდო ფორმას და იანგარიშება საანგარიშო დღისათვის მთლიანად ან არსებითად ამოქმედებული გადასახადის განაკვეთებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივი მხოლოდ მაშინ აღიარდება, თუ 2019 წლის 1 იანვრამდე იარსებებს ისეთი მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, აუთვისებელი საგადასახადო ზარალისა და კრედიტის უტილიზება. გადავადებული საგადასახადო აქტივი თითოეულ საანგარიშო დღეს გადაიხედება და მცირდება იმ თანხით, რომლითაც, შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზება, სავარაუდოდ, არ მოხდება.

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, 2019 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებში არ იარსებებს სხვაობა აქტივების საგადასახადო ბაზისსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის და, შედეგად, არც გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოქმნას უნდა ველოდოთ.

***საოპერაციო გადასახადები.*** საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

**რეზერვები.** რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე (იურიდიული ან პირობითი) ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა წარსული მოვლენების შედეგად და რომელთა დაფარვისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს ეკონომიკური სარგებლის მატარებელი რესურსების გადინება და აღნიშნული ვალდებულების შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

რეზერვად აღიარებული თანხა წარმოადგენს ანაზღაურების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად ფინანსური მდგომარეობის საანგარიშგებო პერიოდისათვი ვალდებულების გარსემო რისკებისა და უზუსტობების არსებობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ რეზერვი გამოითვლება ფულადი სახსრების მოძრაობიდან მათი საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულებას (სადაც არსებითია ფულის ღირებულება დროში).

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია, რომ ყველა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც საჭიროებს რეზერვის ფორმირებას, დაიფარება მესამე მხარის მიერ, მოთხოვნები აისახება აქტივებში, თუკი გადახდა ნამდვილად სარწმუნოა და მოთხოვნის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით.

**უცხოური ვალუტა.** ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ფუნქციონალური ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. რეალური ღირებულებით აღრიცხული არამონეტარული ერთეულები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, გადაფასდება რეალური ღირებულების დადგენის დღეს მოქმედი კურსით. ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული ერთეულები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, არ გადაფასდება.

ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

| | 31 დეკემბერი, 2017 | 31 დეკემბერი, 2016 |
|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.5922 | 2.6468 |
| ლარი/1 ევრო | 3.1044 | 2.7940 |

***უზრუნველყოფა.*** ჯგუფი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, სადაც ეს ითვლება მართებულად. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების დაყადაღებას და ჯგუფს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

## 3. კრიტიკული ბუღალტრული შეფასებები და არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ჯგუფის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას (იხილეთ შენიშვნა 2), ხელმძღვანელობა ვალდებულია, განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

*შეფასების არასარწმუნოობის უმთავრესი წყაროები.* ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოობის მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული შემდეგი უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

**უწყვეტი საწარმო.** ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ზარალმა ჯგუფში შეადგინა 3,212 ათასი ლარი, საპროცენტო შემოსავალმა 63%-ით იკლო, ხოლო სესხების პორტფელი 55%-ით შემცირდა. ჯგუფის ოპერაციების მასშტაბის კლება იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემოტანილ საკანონმდებლო აქტების შედეგად. 2017 წლის 15 იანვარს საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, ძალაში შევიდა 100%-იანი ზედა ზღვარი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე მოქმედ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე და 150%-იანი ზედა ზღვარი კლიენტებზე გაცემული სესხების ძირითადი თანხების კუმულატიურ საკომისიოებსა და ჯარიმებზე. ამგვარი შეზღუდვების ამოქმედებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ჯგუფის ონლაინ სესხების მიმართულების მომგებიანობაზე. თუმცა, ჯგუფის მენეჯმენტმა ყველა აუცილებელი ზომა მიიღო, რათა ჯგუფს საშუალება ჰქონდეს, მუშაობა გააგრძელოს როგორც უწყვეტმა საწარმომ. მათ შორისაა:

- 2017 წლის მარტიდან მოყოლებული ჯგუფმა დანერგა სესხების გაცემის უფრო მკაცრი პოლიტიკა, რომლის შედეგად, სესხები გაიცემა უფრო მაღალი საკრედიტო ხარისხის მსესხებლებზე. ამან პორტფელის მოცულობა შეამცირა, საკრედიტო ხარისხი კი გაზარდა.
- როგორც ეს აღნიშნულია შენიშვნაში №10, 2017 წლის განმავლობაში ჯგუფმა ვადაგადაცილებული სესხები მიჰყიდა გაუფასურებული სესხების ამომღებ კომპანიას, რათა ამით თავიდან აეცილებინა საეჭვო სესხების ამოღების მაღალი ხარჯები და, თანაც, დაეკმაყოფილებინა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული შეზღუდვები. როგორც ეს აღნიშნულია შენიშვნაში №10, საეჭვო სესხების პორტფელის გაყიდვის შედეგად, მოხდა 5,939 ათასი ლარის ოდენობის დამატებითი რეზერვის აღიარება, რამაც გამოიწვია 2017 წლის განმავლობაში საოპერაციო ზარალის აღიარება. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ჯგუფის მენეჯმენტმა ხელახალი მოლაპარაკებების შედეგად, საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და ნასესხები სახსრების დაფარვის გზით, მიაღწია სესხების პირობების შეცვლას.
- 2017 წლის 20 ნოემბერს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ შვილობილი კომპანია შპს „სისი ლოუნი" შეუერთა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შპს „კონტინენტალ სიტი კრედიტს", გააუმჯობესა რა საოპერაციო ეფექტურობა და მოახდინა ჯგუფში ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაცია.
- 2017 წლის მაისში ჯგუფმა ბაზარზე გაიტანა ახალი პროდუქტი „სამომხმარებლო სესხი" და გეგმავს ონლაინ სესხების ჩანაცვლებას უფრო მაღალი საკრედიტო ხარისხის პროდუქტით.
- როგორც ეს ახსნილია შენიშვნაში №22, წლის ბოლოს შემდგომ, ჯგუფის მენეჯმენტმა და დამფუძნებელმა მიიღეს გადაწყვეტილება, შეწყვიტონ ონლაინ სესხების გაცემა და მოახდინონ რესურსების კონცენტრაცია არსებული კლიენტებიდან ონლაინ სესხების ამოღებაზე და სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების მოცულობის ზრდაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დღემდე ჯგუფმა მოახერხა ვადაგადაცილებული ონლაინ სესხების პორტფელის 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოცულობის 31%-ის ამოღება.
- ჯგუფის ოპერაციები და საქმიანობა მხარდაჭერილია ჯგუფის მფლობელის მიერ. როგორც ნაჩვენებია შენიშვნაში №22, წლის ბოლოს შემდგომ ჯგუფის მფლობელმა ჯგუფი დააფინანსა 6,855

ათასი ლარის ოდენობით წილობრივი გადახდის ოფციით, რაც ადასტურებს მფლობელის მზადყოფნას, ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს კომპანიას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ შიდა პოლიტიკების ამოქმედებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის გარე რეგულაციების საპასუხოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ზომების შედეგად, ჯგუფი შეძლებს მომავალში უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელებას.

**სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება.** ჯგუფი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ჯგუფი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ჯგუფი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო, რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა ეფუძნება იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციას და (II) ჯგუფის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ჯგუფის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ეყრდნობა პროფესიულ განსჯას ნებისმიერი გაუფასურების დასადგენად იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და ისტორიული გამოცდილების მონაცემები მსგავსი მსესხებლების შესახებ მწირია. ჯგუფი ფულადი სახსრების მოძრაობაში ცვლილებებს განსაზღვრავს წინა პერიოდის გამოცდილებაზე და ხელმისაწვდომ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს უარყოფით ცვლილებებზე ჯგუფში შემავალი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და ადგილობრივი ან ქვეყნის ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რომლებიც უკავშირდება ჯგუფში შემავალი აქტივების ამოღების შესაძლებლობის არარსებობას. ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს იმ აქტივების ისტორიულ დანაკარგებზე დაყრდნობით, რომელთა საკრედიტო რისკების მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მსგავსია სესხების მოცემული ჯგუფისათვის. ჯგუფი ხელმძღვანელობის პროფესიულ განსჯას იყენებს და აკორექტირებს სესხების ჯგუფის შესახებ არსებულ მონაცემებს იმ მიმდინარე გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც აქამდე არ ასახულა ისტორიულ მონაცემებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ჯგუფისთვის ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადექვატურობაზე.

**ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდი.** როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისათვის ადგენს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადებს. ძირითადი საშუალების სასარგებლო მოხმარების პერიოდის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელი მოხმარების, სავარაუდო ტექნიკური მოძველების, ფიზიკური მოხმარებისა თუ ცვეთის და აქტივის ფიზიკურ საოპერაციო გარემოს პარამეტრებს. ცვლილებამ რომელიმე ერთ პირობაში ან შეფასებაში შეიძლება გამოიწვიოს ცვეთის/ამორტიზაციის მომავალი განაკვეთის კორექტირება. ფინანსური წლის განმავლობაში ჯგუფის ხელმძღვანელობას ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადები არ შეუცვლია.

**გადავადებული საგადასახადო ნაშთების ათვისება.** როგორც უკვე აღინიშნა შენიშვნაში №2, 2016 წლის 13 მაისს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლებიც კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო კავშირებისთვის, სადაზღვევო ორგანიზაციებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისთვის ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ახალი კოდექსის მიხედვით იცვლება ჯგუფის მოგების გადასახადის აღიარება და გაზომვის პრინციპები და აგრეთვე ვრცელდება ჯგუფის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებზე / ვალდებულებებზე.

ჯგუფის მენეჯმენტის შეფასებით, კანონის ძალაში შესვლის თარიღამდე, საანგარიშო დღის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია აუთვისებელი გადავადებული საგადასახადო აქტივების / ვალდებულებების ნაშთები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, 979 ათასი და 758 ათასი ლარის ოდენობით.

**დასაკუთრებული აქტივების შეფასება.** დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით, შემდგომში კი - საბალანსო ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და რეალიზაციის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი თანხით.

შეფასება ჩაატარა შემფასებელთა დამოუკიდებელმა ფირმამ, რომელსაც გააჩნია აღიარებული და დასმული ამოცანის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და, აგრეთვე, ბოლოდროინდელი გამოცდილება მსგავსი ადგილმდებარეობისა და კატეგორიის აქტივების შეფასებაში. შედარების პროცესში მათ გამოიყენეს სამი შედარებითი ანალოგია (რეგისტრირებული გაყიდვა ან/და გაყიდვის წინადადება), რომელთა ფასები კორექტირდა შესაფასებელ აქტივებსა და ანალოგებს შორის არსებული სხვაობების საფუძველზე. აქტივების უმეტესობა შეფასდა საბაზრო მიდგომით/მეთოდით, რაც ბაზრის მდგომარეობით, კერძოდ კი შეფასების დღისათვის რეგისტრირებული გაყიდვებისა და გაყიდვის წინადადებების საკმარისი რაოდენობის რაოდენობით, იყო განპირობებული.

**დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება.** ბიზნეს-საქმიანობის პროცესში ჯგუფი ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ბალანსების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში №18.

**რეზერვები.** ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში აღიარებული რეზერვები წარმოადგენს სესხის საინკასაციო კომპანიასთან არსებული სესხების გაყიდვის ხელშეკრულების სავარაუდო შეწყვეტასთან დაკავშირებულ არსებულ პირობით ვალდებულებას. წლის ბოლოს დადგომამდე ჯგუფის ხელმძღვანელობას განზრახული ჰქონდა და დარწმუნებული იყო, რომ ხელშეკრულება შეწყდებოდა და სესხების გაყიდვის პირობების სახით გადაცემული ნასესხები სახსრების აღიარების გამო, ეს გამოიწვევდა რესურსების გადინებას. ვალდეუბლების მოცულობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია და მტკიცდება კიდეც საანგარიშო დღის შემდგომ მომხდარი მოვლენებით (შენიშვნა №22). ინფორმაცია აღნიშნულ სესხების გაყიდვის ხელშეკრულებისა და აღიარებული რეზერვების თაობაზე განმარტებულია შენიშვნაში №10.

## 4. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დანერგვა

**ფინანსურ ანგარიშებში ნაჩვენებ თანხებზე მოქმედი ფასს-ებში შეტანილი შესწორებები.** მიმდინარე წელს ჯგუფმა დანერგა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- შესწორება ბასს 7-ში „განმარტების ინიციატივა";
- შესწორება ბასს 12-ში: აღარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება;
- ფასს წლიური რედაქტირების 2014-2016 ციკლი - შესწორება ფასს 12-ში.

ბუღალტრული აღრიცხვის ამჟამად გამოყენებული პოლიტიკები წინა ფინანსური წლების პოლიტიკების შესაბამისია. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილების გამომწვევი ახალი ან შესწორებული სტანდარტების ან ინტერპრეტაციის გამოყენება არ მომხდარა.

**შესწორებები ბასს 7 „განმარტების ინიციატივა".** ჯგუფმა ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორებები კომპანიისგან მოითხოვს, ისეთი განმარტებები გააკეთოს წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, სათანადოდ შეაფასონ ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებათა როგორც ფულადი, აგრეთვე არაფულადი ცვლილებები.

ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (შენიშვნა №9). შესწორებათა გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ჯგუფმა წინა პერიოდის შესადარი ინფორმაცია არ განმარტა. შესწორების ამოქმედებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

**შესწორება ფასს 12 „არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება".** ჯგუფმა ეს შესწორებები პირველად მიმდინარე წელს გამოიყენა. შესწორება განმარტავს, როგორ უნდა შეაფასოს კომპანიამ, ექნება თუ არა საკმარისი მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც მას შეეძლება გამოქვითვადი დროებითი სხვაობის გამოყენება.

აღნიშნული შესწორებების გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ზეგავლენა არ ჰქონია, რადგან ჯგუფი მომავალი დასაბეგრ მოგებას შესწორებების შესაბამისი მიდგომით აფასებს.

**ფასს წლიური რედაქტირების 2014-2016 ციკლი.** ჯგუფმა მიმდინარე წელს პირველად გამოიყენა ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წლების ციკლში შესული შესწორება ფასს 12-ში. ამავე ციკლში შედის სხვა შესწორებები, რომელთა ამოქმედება ჯერ სავალდებულო არ არის და ჯგუფს მათი გამოყენება ადრეულად არ დაუწყია (ქვემოთ იხილეთ ახალი და რედაქტირებული, ჯერ არამოქმედებული ფასს-ების სია).

ფასს 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ კომპანია არ არის ვალდებული, გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებულ (ან ამგვარად კლასიფიცირებულ, სარეალიზაციო ჯგუფში შესულ) შვილობილ, დაკავშირებულ და ერთობლივ პირებში ფლობილი წილის შესახებ ფინანსური ინფორმაცია შეჯამებული სახით წარმოადგინოს. შესწორებები აზუსტებს, რომ ეს ერთადერთი შეღავათია, რაც კომპანიას ამგვარი წილებისათვის ფასს 12-ში მოცემული განმარტებების ვალდებულებიდან ათავისუფლებს.

ამ შესწორებათა ამოქმედებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ უმოქმედია.

**ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები.** ჯგუფი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები[1];
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან[1];
- ფასს 16 - იჯარა[2];
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები[3];
- ფაისკ 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება[1];

- ფაისკ 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება[2];
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით[1];
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში[4];
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა[1];
- შესწორებები ფასს 4 - „ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები" გამოყენება ფასს 4 „სადაზღვევო კონტრაქტებთან" ერთად[1];
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით[2];
- შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები ასოცირებულ პირებსა და ერთობლივ საწარმოებში[2];
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი[1];
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი[2].

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.
4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

ჯგუფის მენეჯმენტი არ ვარაუდობს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ის გამოყენება ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ან/და ფინანსურ შედეგებზე, გარდა შემდეგი სტანდარტებისა:

***ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"***. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს-ში 9 შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2016 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, გარკვეული მარტივი სავალო ინსტრუმენტების სხვა სრულ შემოსავლებში სამართლიანი ღირებულებით ასახვის თვალსაზრისით. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის კატეგორია - „სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავლებში". აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც წარმოადგენს ძირითადი თანხისა და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

  ფინანსური ვალდებულებები ასევე ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ

ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.

- **გაუფასურება.** ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის "მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის" მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი ინარჩუნებს ჰეჯირების აღრიცხვის მექანიზმების სამ ძირითად სახეს, რომელიც დღესდღეობით ასახულია ბასს 39-ში. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯის ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისათვის შემოტანილია გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წ. 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

**კლასიფიკაცია და გაზომვა.** 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის შედეგად და ამ დღეს არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე, ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება კვლავაც აღირიცხება ისევე, როგორც ამჟამად ხდება ბასს 39-ის შესაბამისად.

**გაუფასურება.** შესყიდული ან წარმოშობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების გამოკლებით, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები შეფასდება შემდეგი ოდენობის დანაკარგის რეზერვით:

- 12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლებელია დადგეს საანგარიშო დღიდან 12 თვის განმავლობაში (პირველი ეტაპი); ან
- სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, ანუ (ლიფეტიმე) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში დამდგარი ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენიდან (მეორე ეტაპი და მესამე ეტაპი).

სრული სასიცოცხლო ციკლის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი ფინანსური ინსტრუმენტისათვის საჭირო იქნება, თუ ამ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდგომ. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისათვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები შეფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ტოლის ოდენობით.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის შეფასების პროცესში პროსპექტიული მაკროეკონომიკური ინფორმაციის ჩართვის მიზნით, ბანკი გააანალიზებს დეფოლტის დამოკიდებულებას გარკვეულ მაკროეკონომიკურ ცვლადებზე, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, უმუშევრობის დონე, უძრავი ქონების ფასები და სავალუტო ინდექსი. საპროგნოზო მაკროეკონომიკური ცვლადები და სცენარები მათი ხდომილების ალბათობასთან მოპოვებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციიდან.

ჯგუფის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მოდელის გამოყენება შედეგად მოიტანს შესაბამის პუნქტებზე საკრედიტო დანაკარგების ადრეულს აღიარებას და გაზრდის ამ პუნქტებისათვის აღიარებული დანაკარგების რეზერვის მოცულობას. თუმცა, ზემოქმედების სარწმუნო პროგნოზის გარეშე ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია.

*შესწორება ფასს 16 - იჯარა.* ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების გამოვლენისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 16-ში საიჯარო და მომსახურების კონტრაქტები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, აკონტროლებს თუ არა მოცემულ აქტივს კლიენტი. საოპერაციო იჯარის (არასაბალანსო) და ფინანსური იჯარის (საბალანსო) განსხვავებები უქმდება და ნაცვლდება მოდელით, რომლის მიხედვით გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი და შესაბამისი ვალდებულება, ყველა სახის იჯარის შემთხვევაში, უნდა აღიაროს იჯარის მიმღებმა (ანუ ყველა საბალანსო იჯარისა). აღნიშნული არ ეხება დაბალღირებულებიანი აქტივების იჯარებსა და მოკლევადიან იჯარებს.

გამოყენების უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

იჯარის მიმღების მხარეს არსებული აღრიცხვისგან განსხვავებით, ფასს 16-ში იჯარის გამცემის მხრიდან აღრიცხვიანობის პრინციპები ბასს 17-თან შედარებით მნიშვნელოვანწილად იგივეა. აქაც იჯარის გამცემი მოვალეა, იჯარა ან საოპერაციო იჯარად ჩათვალოს ან ფინანსურ იჯარად.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტის გამოყენებამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუმცა, ზემოქმედების სარწმუნო პროგნოზის გარეშე ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია.

*შესწორებები ბასს 12 „არარეალიზებული ზარალის გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება“.* შესწორებები განმარტავს:

1. რეალური ღირებულებით გაზომილი ფიქსირებულ განაკვეთიანი ისეთი სავალო ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულების შემცირება თვითღირებულებაზე ნაკლებ თანხამდე, რომლის საგადასახადო ბაზა თვითღირებულების დონეზე რჩება, წარმოშობს გამოქვითვად დროებით სხვაობას, იმის მიუხედავად, ვარაუდობს თუ არა ამ ინსტრუმენტის ფლობელი მისი საბალანსო ღირებულების ამოღებას რეალიზაციით თუ გამოყენებით, და იმის მაღალი ალბათობის მიუხედავად, რომ გამომშვები გადაიხდის საკონტრაქტო ფულად გადასახადს.
2. როდესაც კომპანია აფასებს, ექნება თუ არა მას დასაბეგრი მოგება, რათა გამოქვითვადი დროებითი სხვაობა გამოიყენოს, ხოლო საგადასახადო ნორმა ზღუდავს ზარალის გამოყენებას კონკრეტული ტიპის შემოსავლიდან გამოსაქვითად (მაგ. კაპიტალური დანახარჯები შეიძლება მხოლოდ კაპიტალური შემოსავლებიდან გამოიქვითოს), გამოქვითვადი დროებითი სხვაობა ფასდება იმავე ტიპის სხვა გამოქვითვად დროებით სხვაობასთან ერთად, მაგრამ სხვა ტიპის გამოქვითვადი დროებითი სხვაობებისგან განცალკევებით;
3. სავარაუდო სამომავლო დასაბეგრი მოგების მთლიან ოდენობაში შეიძლება გათვალისწინებული იქნეს პირის აქტივების ამოღება მათ საბალანსო ღირებულებაზე მეტი ოდენობით, თუ არსებობს იმის საკმარისი მტკიცებულება, რომ ამის მიღწევა სავარაუდოა; და
4. საკმარისი სამომავლო დასაბეგრი მოგების არსებობის დადგენისას, კომპანიამ გამოქვითვადი დროებითი სხვაობები სამომავლო დასაბეგრ მოგებას უნდა შეადაროს იმ საგადასახადო გამოქვითვების გაუთვალისწინებლად, რომლებიც ამ გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გაუქმებით წარმოიშობა.

შესწორებები ძალაშია რეტროსპექტიულად 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია. ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება“*. ეს ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ როდესაც კომპანია იხდის ან იღებს თანხას ავანსად უცხოურ ვალუტაში, ტრანსაქციის თარიღი, შესაბამისი აქტივის, დანახარჯის ან შემოსავლის თავდაპირველი აღიარებისას გაცვლითი კურსის დასადგენად, უნდა იყოს საავანსო გადახდის თარიღი, ანუ ის დღე, როდესაც მოხდა ავანსად მიღებული შემოსავლის ან ხარჯის აღიარება. თუ საავანსო გადახდა ან საავანსო შემოსავლის მიღება მოხდა ერთ ჯერზე მეტად, უნდა დადგინდეს თითოეული გადახდის ან შემოსავლის მიღების ტრანსაქციის თარიღი. ეს შესწორებები ეხება 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებს. ადრეული გამოყენება ნებადართულია. კომპანიას შეუძლია შესწორება გამოიყენოს რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებების გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ჯგუფი ამჟამად უკვე იყენებს ფაისკ 22-ში მითითებულ მიდგომას.

*ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი.* წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში მოცემულია შესწორება სამ სტანდარტში:

ფასს 1-ის შესწორებით უქმდება ფინანსური ინსტრუმენტების, თანამშრომელთა ბენეფიტებისა და საინვესტიციო კომპანიების შესახებ განმარტების ვალდებულებისგან მოკლე ვადით გათავისუფლების საშუალება, რადგან ის საანგარიშო პერიოდი, რომლებზეც ვალდებულებისგან გათავისუფლება ვრცელდებოდა, უკვე გავიდა და ამდენად, ეს გამონაკლისი ვეღარ იმოქმედებს. შესწორებები ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ფასს 12-ის შესწორებები განმარტავს, რომ გასაყიდად განკუთვნილად კლასიფიცირებული ან სარეალიზაციო ჯგუფში შესული შვილობილი კომპანიების, ასოცირებული კომპანიების ან ერთობლივი საწარმოების შესახებ შეჯამებული ინფორმაციის წარმოდგენის მოთხოვნა ერთადერთია, რომელიც შეიძლება არ ჩაითვალოს სავალდებულოდ. შესწორებები გამოიყენება რეტროსპექტიულად და ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ბასს 28-ის მიხედვით, ვენჩურული კაპიტალის ორგანიზაციებსა და სხვა მსგავს პირებს შეუძლიათ ასოცირებულ კომპანიებსა და ერთობლივ საწარმოებში ჩადებული ინვესტიციები ასახონ მოგება-ზარალში ასახული რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, კომპანიას, რომელიც არ არის საინვესტიციო კომპანია, მაგრამ გააჩნია წილი ისეთ ასოცირებულ კომპანიაში ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც თავად არის საინვესტიციო კომპანია, წილობრივი მეთოდის გამოყენებისას, შეუძლია, გამოიყენოს ამ ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიერ თავთავის შვილობილ კომპანიებში ფლობილი წილების რეალური ღირებულების გასაზომად გამოყენებული ფორმა. ბასს 28-ის შესწორებები განმარტავს, რომ ეს გადაწყვეტილება კომპანიამ უნდა მიიღოს ცალცალკე თითოეული ასოცირებული პირისა თუ ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას. შესწორებები გამოიყენება რეტროსპექტიულად და ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი.* წლიური რედაქტირებების პაკეტის ფარგლებში ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი მოიცავს რამდენიმე სტანდარტის შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ფლობილი წილები. ფასს 11-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ კომპანიამ ერთობლივი კონტროლი დაამყარა ისეთ ბიზნესზე, რომელიც ერთობლივ საქმიანობას წარმოადგენს, მან ხელახლა არ უნდა შეაფასოს ამ ბიზნესში ადრე ფლობილი წილები.

ბასს 12-ის შესწორება განმარტავს, რომ დივიდენდების (ანუ მოგების განაწილების) მოგების გადასახადზე მოქმედი შედეგები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს იმის მიუხედავად, თუ როგორ წარმოიშვა გადასახადი.

ბასს 23-ის შესწორება განმარტავს, რომ თუ შესაბამისი აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდად გამზადების შემდეგ დასაფარი დარჩა ნასესხები სახსრების რაიმე ნაწილი, ნასესხებ სახსრებზე კაპიტალიზაციის კოეფიციენტის გამოთვლის პროცესში ეს სესხი უნდა შევიდეს იმ თანხებში, რომლებსაც კომპანია ზოგადად სესხულობს.

ყველა შესწორება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ ამ შესწორებათა გამოყენება არსებით ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 5. ფული და ფულის ექვივალენტები

| | 31 დეკემბერი, 2017 | 31 დეკემბერი, 2016 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული | 39 | 36 |
| ნაშთები ბანკებთან 90 დღემდე თავდაპირველი ვადიანობით | 868 | 2,376 |
| **სულ ფული და ფულის ექვივალენტები** | **907** | **2,412** |

ბანკებთან არსებული ბალანსები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. ბალანსები მოიცავს საქართველოში მომედ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებს და გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობისათვის.

## 6. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

| | 31 დეკემბერი, 2017 | 31 დეკემბერი, 2016 |
|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 11,730 | 26,602 |
| დარიცხული პროცენტი | 705 | 2,599 |
| | **12,435** | **29,201** |
| გამოკლებული: შესაძლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი | (1,846) | (5,652) |
| სულ კლიენტებზე გაცემული სესხები | **10,589** | **23,549** |

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

| | 31 დეკემბერი, 2017 | 31 დეკემბერი, 2016 |
|---|---|---|
| იპოთეკური სესხები | 6,802 | 11,453 |
| ონლაინ სესხები | 3,277 | 17,097 |
| სამომხმარებლო სესხები | 1,519 | - |
| სალომბარდო სესხები | 837 | 651 |
| | **12,435** | **29,201** |
| გამოკლებული გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (1,846) | (5,652) |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **10,589** | **23,549** |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებები ჯგუფის მიერ მიღებული უზრუნველყოფის სახეობის მიხედვით:

| | 31 დეკემბერი, 2017 | 31 დეკემბერი, 2016 |
|---|---|---|
| უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები | 6,801 | 11,453 |
| სესხები უზრუნველყოფის გარეშე | 4,796 | 17,097 |
| სესხები სხვა უზრუნველყოფით | 838 | 651 |
| გამოკლებული გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (1,846) | (5,652) |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **10,589** | **23,549** |

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ჯგუფმა მიიღო არაფინანსური აქტივები უზრუნველყოფის დასაკუთრების შედეგად. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა აქტივების ჯგუფმა შესაბამისად მოიცვა ამგვარი აქტივები 1,748 და 1,703 ოდენობით, შესაბამისად (შენიშვნა 8).

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული მიმდინარე სესხების საკრედიტო ხარისხი შემდეგნაირად გამოიყურება:

| 2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით | მთლიანი სესხები | გაუფასურების რეზერვი | წმინდა სესხები | გაუფასურების რეზერვის ფარდობა მთლიან სესხებთან |
|---|---|---|---|---|
| **იპოთეკური სესხები** | | | | |
| ვადაგადაუცილებელი | 1,887 | (11) | 1,876 | 0.6% |
| ვადაგადაცილებული: | | | | |
| 30 დღემდე | 538 | - | 538 | 0% |
| 31-60 დღე | 77 | - | 77 | 0% |
| 61-90 დღე | 23 | - | 23 | 0% |
| 91-180 დღე | 94 | (8) | 86 | 8.5% |
| 180 დღეზე მეტი | 4,183 | (979) | 3,204 | 23.4% |
| **სულ იპოთეკური სესხები** | **6,802** | **(998)** | **5,804** | **14.7%** |
| **სამომხმარებლო სესხები** | | | | |
| ვადაგადაუცილებელი | 1,472 | (22) | 1,450 | 1.5% |
| ვადაგადაცილებული: | | | | |
| 30 დღემდე | 35 | (2) | 33 | 5.7% |
| 31-60 დღე | 1 | - | 1 | - |
| 61-90 დღე | 2 | (2) | - | 100% |
| 91-180 დღე | 5 | (5) | - | 100% |
| 180 დღეზე მეტი | 4 | (4) | - | 100% |
| **სულ სამომხმარებლო სესხები** | **1,519** | **(35)** | **1,484** | **2.3%** |
| **სალომბარდო სესხები** | | | | |
| ვადაგადაუცილებელი | 813 | (12) | 801 | 1.5% |
| ვადაგადაცილებული: | | | | |
| 30 დღემდე | - | - | - | - |
| 31-60 დღე | - | - | - | - |
| 61-90 დღე | - | - | - | - |
| 91-180 დღე | - | - | - | - |
| 180 დღეზე მეტი | 24 | (24) | - | 100% |
| **სულ სალომბარდო სესხები** | **837** | **(36)** | **801** | **4.3%** |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ონლაინ სესხები** | | | | |
| ვადაგადაუცილებელი | 2,496 | (235) | 2,261 | 9.4% |
| ვადაგადაცილებული: | | | | |
| 30 დღემდე | 347 | (146) | 201 | 42.1% |
| 31-60 დღე | 123 | (98) | 25 | 79.7% |
| 61-90 დღე | 74 | (66) | 8 | 89.2% |
| 91-180 დღე | 214 | (209) | 5 | 97.7% |
| 180 დღეზე მეტი | 23 | (23) | - | 100.0% |
| **სულ ონლაინ სესხები** | **3,277** | **(777)** | **2,500** | **23.7%** |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **12,435** | **(1,846)** | **10,589** | **14.8%** |

| 2016 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით | მთლიანი სესხები | გაუფასურების რეზერვი | წმინდა სესხები | გაუფასურების რეზერვის ფარდობა მთლიან სესხებთან |
|---|---|---|---|---|
| **იპოთეკური სესხები** | | | | |
| ვადაგადაუცილებელი | 3,427 | (207) | 3,220 | 6.0% |
| ვადაგადაცილებული: | | | | |
| 30 დღემდე | 1,190 | (72) | 1,118 | 6.0% |
| 31-60 დღე | 333 | (20) | 313 | 6.0% |
| 61-90 დღე | 2,215 | (134) | 2,081 | 6.0% |
| 91-180 დღე | 903 | (55) | 848 | 6.0% |
| 180 დღეზე მეტი | 3,385 | (205) | 3,180 | 6.0% |
| **სულ იპოთეკური სესხები** | **11,453** | **(693)** | **10,760** | **6.0%** |
| **სალომბარდო სესხები** | | | | |
| ვადაგადაუცილებელი | 607 | (26) | 581 | 4.2% |
| ვადაგადაცილებული: | | | | |
| 30 დღემდე | 11 | (3) | 8 | 27.2% |
| 31-60 დღე | - | - | - | - |
| 61-90 დღე | - | - | - | - |
| 91-180 დღე | - | - | - | - |
| 180 დღეზე მეტი | 33 | (7) | 26 | 21.2% |
| **სულ სალომბარდო სესხები** | **651** | **(36)** | **615** | **5.5%** |
| **ონლაინ სესხები** | | | | |
| ვადაგადაუცილებელი | | | | |
| ვადაგადაცილებული: | 7,027 | (240) | 6,787 | 3.4% |
| 30 დღემდე | 1,396 | (268) | 1,128 | 19.2% |
| 31-60 დღე | 930 | (285) | 645 | 30.6% |
| 61-90 დღე | 2,580 | (986) | 1,594 | 38.2% |
| 91-180 დღე | 3,895 | (1,875) | 2,020 | 48.1% |
| 180 დღეზე მეტი | 1,269 | (1,269) | - | 100% |
| **სულ ონლაინ სესხები** | **17,097** | **(4,923)** | **12,174** | **28.7%** |
| **სულ კლიენტებზე გაცემული სესხები** | **29,201** | **(5,652)** | **23,549** | **19.3%** |

ჯგუფის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის მიზანია, სანამ სესხის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არ იარსებებს თითოეული სესხი მოაქციოს „არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული" კატეგორიაში. ძირითადი ფაქტორები, რომლის მიხედვითაც ჯგუფი სესხს გაუფასურებულად მიიჩნევს, არის სესხის ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალური ღირებულება. საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგიის დეტალები აღწერილია შენიშვნაში №21.

კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა იყო:

| | კლიენტებზე გაცემული სესხები |
|---|---|
| **იანვარი 1, 2016** | **(2,355)** |
| რეზერვი | (3,312) |
| **დეკემბერი 31, 2016** | **(5,652)** |
| რეზერვი | (706) |
| რეზერვის აღდგენა სესხების გაყიდვაზე (შენიშვნა № 10) | 4,502 |
| **დეკემბერი 31, 2017** | **(1,847)** |

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ ჰქონია ისეთი რისკდამოკიდებულება, რომელიც ინდივიდუალურად აჭარბებს ჯგუფის კაპიტალის 10%.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების 100% გაცემულია საქართველოს მოქალაქეებზე, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას ერთ რეგიონში.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხის საბალანსო ღირებულებაში შედის, შესაბამისად, 6,834 ათასი და 3,417 ათასი ლარის ოდენობის სესხები, რომელთა პირობები შეიცვალა.

## 7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

| | კომპიუტერები | სატრანსპორტო საშუალებები | ავეჯი და საოფისე მოწყობილობა | იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება | სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **თვითღირებულებით 1 იანვარი, 2016** | 182 | 173 | 117 | 219 | 96 | 787 |
| შესყიდვა | 33 | 221 | 2 | 15 | - | 271 |
| ლიკვიდაცია | (63) | (61) | (57) | - | (3) | (184) |
| **31 დეკემბერი, 2016** | **152** | **333** | **62** | **234** | **93** | **874** |
| შესყიდვა | 26 | 62 | 2 | - | - | 90 |
| ლიკვიდაცია | (19) | - | (3) | (59) | - | (81) |
| **31 დეკემბერი, 2017** | **159** | **395** | **61** | **175** | **93** | **883** |
| **დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი, 2016** | 62 | 56 | 43 | 127 | 75 | 363 |
| დარიცხული ცვეთა | 25 | 61 | 13 | 54 | 12 | 165 |
| შემცირება რეალიზაციის შედეგად | (8) | (15) | (8) | - | (3) | (34) |
| **31 დეკემბერი, 2016** | **79** | **102** | **48** | **181** | **84** | **494** |
| დარიცხული ცვეთა | 32 | 76 | 9 | 53 | 6 | 176 |
| შემცირება რეალიზაციის შედეგად | (9) | - | (3) | (59) | - | (71) |
| **31 დეკემბერი, 2017** | **102** | **178** | **54** | **175** | **90** | **599** |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს** | **73** | **231** | **14** | **53** | **9** | **380** |
| **2017 წლის 31 დეკემბერს** | **57** | **217** | **7** | **-** | **3** | **284** |

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ცვეთას სრულად დაქვემდებარებული ძირითადი საშუალებები შეადგენდა 385 და 86 ლარს, შესაბამისად.

## 8. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2016 |
|---|---|---|
| **სხვა ფინანსური აქტივები:** | | |
| მოთხოვნები | 3,919 | 527 |
| გაუფასურების დანაკარგების რეზერვი | (2,991) | - |
| **სულ სხვა ფინანსური აქტივები** | 928 | 527 |
| **სხვა არაფინანსური აქტივები:** | | |
| დასაკუთრებული ქონება | 1,748 | 1,703 |
| საინვესტიციო ქონება | 347 | 357 |
| გადახდილი ავანსები | 70 | 46 |
| სხვა | 3 | 55 |
| **სულ სხვა არაფინანსური აქტივები** | 2,168 | 2,161 |
| **სულ სხვა აქტივები** | 3,096 | 2,688 |

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნებში შედის 3,776 ათასი ლარის ოდენობის მოთხოვნები შპს „ფინსეკის" მიმართ, რომლებიც, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოადგენს ვადაგადაცილებულ და გაუფასურებულ ფინანსურ აქტივს.

სხვა ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ცვლილება იყო:

| | სხვა ფინანსური აქტივები |
|---|---|
| **დეკემბერი 31, 2016** | - |
| გაუფასურების დანაკარგები/რეზერვები | (2,991) |
| **დეკემბერი 31, 2017** | **(2,991)** |

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაკუთრებული აქტივები მოიცავს მიწასა და შენობებს შესაბამისად 1,748 და 1,703 ლარის ოდენობით, რომლებიც ფასდება შემდეგ ღირებულებებს შორის უმცირესით: საბალანსო ღირებულება და სამართლიანი ღირებულება გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაკუთრებული აქტივები 500 ათასი ლარის ოდენობით, გამოყენებული იქნა როგორც უზრუნველყოფა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხებისათვის.

## 9. ნასესხები სახსრები

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2016 |
|---|---|---|
| **გრძელვადიანი ნასესხები სახსრები** | | |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან | 1,063 | 1,431 |
| არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან | - | 2,092 |
| სულ გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 1,063 | 3,523 |
| **მიმდინარე ნასესხები სახსრები** | | |
| არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან | 6,337 | 11,516 |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან | 181 | 264 |
| არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული პირებისგან | - | 7,802 |
| სულ მიმდინარე ნასესხები სახსრები | 6,518 | 19,582 |
| სულ ნასესხები სახსრები | 7,581 | 23,105 |

2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიის დამფუძნებელმა მიიღო გადაწყვეტილება, კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის გზით დაეფარა კომპანიაზე გაცემული სესხები 3,629 ათასი ლარის ოდენობით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი სესხების პირობები და ვადები:

| | ვალუტა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | ვადა | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|---|---|
| არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან | აშშ დოლარი | 7%-13% | მოთხოვნამდე | 6,337 |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან | აშშ დოლარი | 9%-10% | 2017-2021 | 1,244 |
| სულ ნასესხები სახსრები | | | | 7,581 |

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი სესხების პირობები და ვადები:

| | ვალუტა | ნომინალური საპროცენტო განაკვეთი | ვადა | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|---|---|
| არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან | აშშდ | 9%-13% | მოთხოვნამდე | 13,549 |
| არაუზრუნველყოფილი სესხები ფიზიკური პირებისგან | ევრო | 9% | მოთხოვნამდე | 99 |
| არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული პირებისგან | აშშდ | 12%-14% | მოთხოვნამდე | 7,762 |
| უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან | აშშდ | 9%-10% | 2017-2021 | 1,695 |
| სულ ნასესხები სახსრები | | | | 23,105 |

მოთხოვნამდე მიღებული ნასესხები სახსრები იფარება 1-30 დღემდე ვადით ადრე მიღებული შეტყობინებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის სხვა ნასესხები სახსრების ცვლილებები, რომლებიც საფინანსო საქმიანობითაა გამოწვეული, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები. საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები არის ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები ჯგუფის ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშში უკვე კლასიფიცირდა ან მომავალში კლასიფიცირდება როგორც ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან.

| | იანვარი 1, 2017 | ფულის გადინება საფინანსო საქმიანობაში | დივიდენდების დაფარვა ნასესხები სახსრების მეშვეობით | დაფარვა კაპიტალით | სხვა პირზე გადაცემული ნასესხები სახსრები | პროცენტის დარიცხვა 2017 წლის განმავლობაში | გადახდილი პროცენტი 2017 წლის განმავლობაში | ვალუტის გაცვლით მიღებული მოგება 2017 წლის განმავლობაში | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნასესხები სახსრები | 23,105 | (4,970) | 1,233 | (3,629) | (6,545) | 1,711 | (1,888) | (1,436) | 7,581 |

## 10. ანარიცხები

როგორც შენიშვნაში №3 არის აღწერილი, 2017 წლის 15 იანვარს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო 100%-იანი ზედა ზღვარი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე მოქმედ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე და 150%-იანი ზედა ზღვარი კლიენტებზე გაცემული სესხების ძირითადი თანხების კუმულატიურ საკომისიოებსა და ჯარიმებზე. ამგვარი შეზღუდვების ამოქმედებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ჯგუფის ონლაინ სესხების მიმართულებაზე. ჯგუფის მენეჯმენტმა გადაწყვეტილება მიიღო, გაეძლიერებინა სესხების გაცემის პოლიტიკა და მოეხდინა ვადაგადაცილებული ონლაინ სესხების პორტფელის რეალიზაცია და ამით გაეზარდა სესხების პორტფელის ხარისხი.

საკანონმდებლო სისტემის ცვლილებამ სესხების ამომღები კომპანიებს ახალი შესაძლებლობები გაუჩინა და 2017 წლის ივლისში ამ სფეროს ექსპერტებმა შპს „ფინსეკი" დააფუძნეს. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შპს „ფინსეკის" მფლობელებსა და მენეჯმენტს მიმართა ვადაგადაცილებული ონლაინ სესხების პორტფელის გაყიდვისა და ჯგუფიდან ონლაინ სესხების ამოღების საქმიანობის გადაბარების პირობების მოლაპარაკების მიზნით. იმავდროულად, ამოღების ხარჯების ეფექტურად მართვის მიზნით, შპს „ფინსეკი" მოლაპარაკებას ახორციელებდა სხვა ონლაინ სესხების მომწოდებლებთან.

2017 წლის 9 ივლისს შპს „სისი ლოუნმა", შპს „ფინსეკთან" გააფორმა ორი ხელშეკრულება („გაყიდვის ხელშეკრულება"), რომლებიც ითვალისწინებდა მისი საეჭვო სესხების პორტფელის ნაწილის გაყიდვას. გაყიდული აქტივების სანაცვლოდ მთლიანმა შეთანხმებულმა ანაზღაურებამ 10,083 ათასი ლარი შეადგინა, რაც გაყიდული ონლაინ სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულების ექვივალენტი იყო. გაყიდვის დღეს გაყიდული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 5,581 ათასი ლარი. 4,502 ათასი ლარის ოდენობის სხვაობა გასაყიდ ფასსა და წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხა როგორც გაუფასურების ზარალის აღდგენა (შენიშვნა №6).

გაყიდვის ხელშეკრულება №1-ის თანახმად, ჯგუფმა გაყიდა 8,428 ათასი ლარის მთლიანი საბალანსო ღირებულების სესხების პორტფელი გაყიდა იმავე თანხის ტოლ ანაზღაურებად. აქედან წარმოქმნილი მოთხოვნა გაიყო ორ ნაწილად: სესხების სანაცვლოდ, შპს „ფინსეკმა" იკისრა 7,851 ათასი ლარის („არაფულადი ანაზღაურება") იკისრა ვალდებულება (ჯგუფის ნასესხები სახსრები), ხოლო დანარჩენი - 577 ათასი („ფულადი ანაზღაურება") უნდა გადახდილიყო გაყიდვის ხელშეკრულება №1-ის ხელმოწერის თარიღიდან 5 თვის განმავლობაში.

გაყიდვის ხელშეკრულება №2-ის თანახმად, ჯგუფმა გაყიდა 1,655 ათასი ლარის მთლიანი საბალანსო ღირებულების სესხების პორტფელი გაყიდა იმავე თანხის ტოლ ანაზღაურებად. აქედან წარმოქმნილი მოთხოვნა უნდა დაიფაროს გაყიდვის ხელშეკრულება №2-ის ხელმოწერის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

2017 წლის სექტემბერში ჯგუფმა გააფორმა დამატებითი, გაყიდვის ხელშეკრულება №3, რომელიც ითვალისწინებდა 221 ათასი ლარის მთლიანი სესხების პორტფელის გაყიდვას იმავე ოდენობის ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ.

2017 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფმა შეათანხმა გაყიდვის ხელშეკრულება №1-ის ახალი პირობები, რის შედეგადაც არაფულადი ანაზღაურების ოდენობა 7,861 ათასი ლარიდან 6,545 ათას ლარამდე შემცირდა, ხოლო ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შესაბამისად გაიზარდა. გაყიდვის ხელშეკრულება №1-ის შესწორების შედეგად, ჯგუფმა 1,306 ათასი ლარის ღირებულების გადაცემული ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში აღიარა ნასესხებ სახსრებად.

ჯგუფის მენეჯმენტმა გაყიდვის ხელშეკრულებების პირობების შეცვლა ჩათვალა გაუფასურების გამომწვევ ფატორად და 2,991 ათასი ლარი აღიარა შპს „ფინსეკის" მიმართ არსებული მოთხოვნების გაუფასურების დანაკარგების რეზერვად (შენიშვნა №8).

როგორც ეს აღწერილია შენიშვნაში №21, წლის ბოლოს შემდგომ გაყიდვის ორივე ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა გაყიდული სესხების პორტფელის არასაბაზრო ფასდადებისა და ამოღების

მაჩვენებლების ზედმეტად შეფასების გამო. წლის ბოლოს დადგომამდე ჯგუფის მენეჯმენტი მზად იყო და ჰქონდა რწმენა, რომ გაყიდვების ხელშეკრულებების შეწყვეტა ნამდვილად მოხდებოდა და ვალდებულების რეზერვი, სესხების გადაფასებული საბაზრო ფასისა და თავდაპირველად შეთანხმებული ფასების სხვაობა 5,939 ათასი ლარის ოდენობით, აღიარა მოგება-ზარალში.

რეზერვების მოძრაობა იყო:

| | სხვა აქტივები | სხვა რეზერვები |
|---|---|---|
| **დეკემბერი 31, 2016** | - | - |
| გაუფასურების დანაკარგები/რეზერვები | (2,991) | (5,939) |
| **დეკემბერი 31, 2017** | **(2,991)** | **(5,939)** |

## 11. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|
| **სხვა ფინანსური ვალდებულებები:** | | |
| გადასახდელები | 170 | 171 |
| გადასახდელი ბონუსები | - | 97 |
| **სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები** | **170** | **268** |
| **სულ სხვა ვალდებულებები** | **170** | **268** |

## 12. საწესდებო კაპიტალი და რეზერვები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთლიანმა გადახდილმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა, შესაბამისად, 8,429 ათასი და 4,800 ათასი ლარი.

როგორც შენიშვნაში №9 იქნა აღწერილი, 2017 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მფლობელმა გადაწყვეტილება მიიღო, კომპანიის საწესდებო კაპიტალის გაზრდის საშუალებით დაეფარა ნასესხები სახსრების 3,629 ლარის ოდენობის ნაწილი.

კომპანიის მფლობელებს უფლება აქვთ, მიიღონ გამოცხადებული დივიდენდები და მონაწილეობა მიიღონ კომპანიის აქციონერთა კრებებში.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების ბალანსით, როგორც ეს ასახულია კომპანიის ფასს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

აქციონერთა 2017 წლის 20 ივნისისა და 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით, გამოცხადდა და დაიფარა, 6,217 ათასი და 3,690 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები, შესაბამისად.

## 13. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|
| **საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:** | | |
| ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები: | | |
| გაუფასურებული ფინანსური აქტივები | 2,285 | 14,066 |
| ფინანსური აქტივები გაუფასურების გარეშე | 5,299 | 6,713 |
| **სულ საპროცენტო შემოსავალი** | **7,584** | **20,779** |
| საპროცენტო შემოსავალი მოიცავს: | | |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 7,558 | 20,730 |
| მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ | 26 | 49 |
| სულ საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე | **7,584** | **20,779** |

| | | |
|---|---|---|
| **საპროცენტო ხარჯი მოიცავს:** | | |
| ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტი | (1,711) | (2,524) |
| **სულ საპროცენტო ხარჯი** | **(1,711)** | **(2,524)** |
| საპროცენტო ხარჯი მოიცავს: | | |
| ნასესხები სახსრები | (1,711) | (2,524) |
| სულ საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე | (1,711) | (2,524) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი პროცენტიან ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგებამდე/(აღდგენამდე)** | **5,873** | **18,255** |

## 14. სხვა შემოსავალი

| | 2017 | 2016 |
|---|---|---|
| შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან | 88 | 85 |
| სხვა შემოსავალი | 200 | 169 |
| **სულ სხვა შემოსავალი, წმინდა** | **288** | **254** |

## 15. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|
| პერსონალის ხარჯები | 2,797 | 3,609 |
| ქირა | 443 | 508 |
| პროფესიული მომსახურება | 272 | 146 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 193 | 187 |
| მარკეტინგი და რეკლამა | 188 | 1,382 |
| კომუნალურები და კავშირგაბმულობა | 156 | 289 |
| სხვა ხარჯები | 676 | 741 |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **4,725** | **6,862** |

## 16. მოგების გადასახადები

ჯგუფი მიმდინარე მოგების გადასახადს და მის საგადასახადო ბაზისს აქტივებსა და ვალდებულებებში აღრიცხავს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც შეიძლება ფასს-გან განსხვავდებოდეს.

გარკვეული ხარჯების არასაგადასახადო მიზნით გამოქვითვისა და გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავლებიდან გამომდინარე, ჯგუფს გააჩნია მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს.

დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან და გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხულ ღირებულებასთან.

მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ გადასახადს 15%-იანი განაკვეთით, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული პირები იხდიან საგადასახადო მოგებაზე.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები/(ვალდებულებები) დროებით სხვაობებზე 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 245 | 854 |
| ძირითადი საშუალებები | (33) | (30) |
| არამატერიალური აქტივები | 15 | 5 |
| ნასესხები სახსრები | 3 | - |
| სხვა აქტივები | 397 | - |
| სხვა ვალდებულებები | (6) | (71) |
| რეზერვები | 891 | - |
| გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | 1,511 | 758 |
| აღიარებაშეწყვეტილი გადავადებული გადასახადის ბალანსი | (533) | - |
| წმინდა გადავადებული გადასახადის აქტივი | **979** | **758** |

დამოკიდებულება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის შემდეგნაირად აიხსნება:

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|
| (ზარალი)/მოგება მოგების გადასახადამდე | (3,124) | 7,534 |
| მოგების გადასახადის განაკვეთი კანონმდებლობით (15%) | (469) | 1,130 |
| საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების ეფექტი | 533 | - |
| დროებითი სხვაობები | 24 | 372 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | **88** | **1,502** |
| მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი | 309 | 1,945 |
| გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი | (221) | (443) |
| მოგების გადასახადის ხარჯი | **88** | **1,502** |

| | დეკემბერი 31, 2017 | დეკემბერი 31, 2017 |
|---|---|---|
| 1 იანვრის მდგომარეობით - გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | 758 | 315 |
| მოგების გადასახადის მოგება-ზარალში აღიარებული სარგებელი | 221 | 443 |
| 31 დეკემბრის მდგომარეობით - გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი | 979 | 758 |

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო, ხოლო პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კორპორაციული საგადასახადო კოდექსის ცვლილებებს, რომლებიც ფინანსური ინსტიტუტებისათვის ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს. კოდექსი ქართულ კომპანიებსა და რეზიდენტი კომპანიების მუდმივ

წარმომადგენლობებზე, აგრეთვე გარკვეულ საფინანსო ინსტიტუტებსა და სადაზღვევო კომპანიებზე ვრცელდება.

აღნიშნულმა ცვლილებამ მყისიერი ეფექტი იქონია კომპანიების გადავადებულ გადასახადზე, რადგან გაქრა დროებითი სხვაობები გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზისებს შორის. ცვლილების შედეგად, გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთი, რომელიც წინა პერიოდებში წარმოშობილ, აღიარებულ დროებით სხვაობებს განეკუთვნებოდა, 2019 წლის 1 იანვრამდე სრულად უნდა ჩამოიწეროს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აუთვისებელი წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი შეადგენდა 533 ათას ლარს.

## 17. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ჯგუფი, თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში კონტრაგენტების საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით, ხდება ფინანსური ინსტრუმენტების გარებალანსური რისკების მონაწილე. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, ასახულია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

*ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე* – 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

*ვალდებულებები საოპერაციო ლიზინგზე* – 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა არსებითი ხასიათის სალიზინგო ვალდებულებები.

*სასამართლო დავები* – პერიოდულად და ბიზნესის ჩვეული მსვლელობისას ჯგუფი უჩნდება სამართლებრივი სადავო ურთიერთობები და პრეტენზიები სხვა მხარეებთან. ხელმძღვანელობის აზრით რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანარიშგებაში არ გათვალისწინებულა შესაბამისი რეზერვის ხარჯი.

*გადასახადები* – საქართველოს კომერციულ და, კერძოდ, საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ ბიზნესის საქმიანობის თაობაზე თვითნებური დასკვნების გაკეთების რისკი. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები არ მოიწონებენ ჯგუფის რომელიმე კონკრეტულ ქმედებას, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კანონის თავისებურად გაგებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის მარეგულირებელი კანონმდებლობა 2015 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა. შემოვიდა დამატებითი ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნები. ახალი კანონმდებლობა საგადასახადო ორგანოებს უფლებას აძლევს, კომპანიებს დააკისრონ დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები გარკვეულ ტრანზაქციებთან მიმართებაში, რაც მოიცავს, შეზღუდვის გარეშე, დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებს, თუ საგადასახადო ორგანოებმა ჩათვალეს, რომ ტრანზაქცია საბაზრო პირობებით არ განხორციელებულა. საგადასახადო ორგანოების მხრიდან კომპანიის სატრანსფერო ფასდადების პოზიციების ეჭქვეშ დაყენების ეფექტის სარწმუნოდ გაზომვა შეუძლებელია.

ამგვარი არასარწმუნოობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან, გაუფასურების დანაკარგების რეზერვის შეფასებასთან და და სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიზნებისათვის ტრანზაქციათა საბაზრო ფასის დადგენასთან. იგივე ეხება დროებითი საგადასახადო სხვაობების წარმოქმნას კლიენტებზე გაცემული სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის შექმნასთან და აღდგენასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება განხილული იქნას, როგორც დასაბეგრი მოგების შემცირების მცდელობა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ყველა საგადასახადო თანხა უკვე დარიცხულია და ამდენად ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი გათვალისწინებული არ არის.

*საოპერაციო გარემო.* საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც ძირითადად ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების გეგმებს უკავშირდება. 2016 და 2017 წლის განმავლობაში ჩატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს ერთგვარად გზის გამკვლევის ფუნქცია ეკისრებოდა, საქართველო-ევროკავშირის დაახლოების სამოქმედო გეგმის პარალელურად მრავალი სხვა რეფორმაა მოსალოდნელი.

## 18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებსა და ჯგუფთან ერთად ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლესი ხელმძღვანელობის პირებს.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთი ტრანზაქციების განხორციელება, რაც დაუკავშირებელ მხარეებს არ ძალუძთ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები შეიძლება არ განხორციელდეს ისეთივე პირობებით, როგორც ტრანზაქციები სხვა მხარეებს შორის.

თითოეული ამგვარი ურთიერთობის განხილვისას მხედველობაში მიიღება მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შინაარსი და არა მხოლოდ სამართლებრივი ფორმა. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნდა შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

| | 31 დეკემბერი, 2017 | | 31 დეკემბერი, 2016 | |
|---|---|---|---|---|
| | დაკავშირებული მხარეების ნაშთები | მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით | დაკავშირებული მხარეების ნაშთები | მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | - | 12,435 | 56 | 29,201 |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | | 56 | |
| გაუფასურების რეზერვის ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე | - | (1,846) | - | (5,652) |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | | - | |
| ნასესხები სახსრები | - | 7,581 | 7,802 | 23,155 |
| *- მფლობელები* | - | | 6,245 | |
| *- უმაღლესი ხელმძღვანელობა* | - | | 198 | |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | | 1,359 | |

დირექტორებისა და სხვა უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება იყო:

| | 31 დეკემბერი, 2017 | | 31 დეკემბერი, 2016 | |
|---|---|---|---|---|
| | დაკავშირებული მხარეების ნაშთები | მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით | დაკავშირებული მხარეების ნაშთები | მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით |
| **უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება** | | | | |
| *- თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიტები* | 798 | 2,893 | 840 | 3,609 |

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მოგება-ზარალის ანგარიში მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

| | 31 დეკემბერი, 2017 | | 31 დეკემბერი, 2016 | |
|---|---|---|---|---|
| | დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები | მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით | დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები | მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით |
| საპროცენტო შემოსავალი | - | 7,584 | 4 | 20,896 |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | | 4 | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საპროცენტო ხარჯი | (236) | (1,711) | (835) | (2,524) |
| - მფლობელები | (236) | | (665) | |
| - უმაღლესი ხელმძღვანელობა | - | | (21) | |
| - სხვა დაკავშირებული მხარეები | - | | (149) | |

## 19. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს-ის მიხედვით, რეალური/სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას გაზომვის დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ ტრანზაქციაში.

ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისა და სამართლიანი ღირებულების დასადგენად გარკვეული განსჯაა საჭირო. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული მთელი საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

**იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეალური ღირებულებით რეგულარულად არ აისახება (მაგრამ რომელთა განმარტება სავალდებულოა)**

**ფული და ფულის ექვივალენტები** – ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რომელიც მიახლოებულია მათ მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან.

**სხვა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები** – სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნებითა და გადასახდელებით, ამდენად, ითვლება, რომ საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას ასახავს.

**კლიენტებზე გაცემული სესხები და ნასესხები სახსრები** – ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის ვადიანობასა და კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ხელმძღვანელობა იყენებს შემდეგ დაშვებებს:

- 19-36% დისკონტირების განაკვეთები გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხების სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის;
- 10-14% დისკონტირების განაკვეთები გამოიყენება სესხებისა და ფულადი ნაკადების სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის;

ჯგუფის შეფასებით, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათი საბალანსო ღირებულებისგან არსებითად არ განსხვავდება.

| | სამართლიანი ღირებულება იერარქია | დეკემბერი 31, 2017 | | დეკემბერი 31, 2016 | |
|---|---|---|---|---|---|
| | | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 3 | 10,589 | 10,589 | 23,549 | 23,549 |
| ნასესხები სახსრები | 3 | 7,581 | 7,581 | 23,105 | 23,105 |

## 20. კაპიტალის მართვა

ჯგუფის კაპიტალის მართვის ამოცანებია:

- ჯგუფის, როგორც უწყვეტი საწარმოს, ფუნქციონირება მფლობელისათვის უკუგების უზრუნველყოფის მიზნით; და
- მფლობელისათვის ადეკვატური უკუგების უზრუნველყოფა მომსახურებებზე რისკის დონის შესაბამისი ფასების განსაზღვრის საშუალებით.

ჯგუფი კაპიტალის საჭირო რაოდენობას ადგენს რისკის პროპორციულად. კაპიტალის სტრუქტურა იმართება და კორექტირდება ეკონომიკური პირობების ცვლილებათა და შესაბამისი აქტივებისათვის დამახასიათებელი რისკის გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა და კორექტირების მიზნით, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელისთვის გადახდილი დივიდენდები, მისი კაპიტალის უკუგება ან გაყიდოს აქტივები სესხის შესამცირებლად.

ჯგუფს დაცული აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მინიმალური სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნები, რომელთა მიხედვით საკუთარ კაპიტალში მინიმალური შენატანები არ უნდა იყოს 250 ათას ლარზე მცირე.

## 21. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯგუფის საქმიანობაში და არის მისი ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ჯგუფის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

რისკის მართვის მაღალეფექტური პოლიტიკის გამოყენების მიზნით, ჯგუფმა დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია, ჯგუფი დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ჯგუფი მართავს შემდეგი სახის რისკებს:

**საკრედიტო რისკი.** ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება მმართველი ორგანოს მიერ დაწესებულ ლიმიტებში. ეს პროცესები სრულდება საკრედიტო კომიტეტის და ჯგუფის ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ. საკრედიტო კომიტეტის მიერ ნებისმიერი განაცხადის გაკეთებამდე საკრედიტო პროცესებთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია (მსესხებლისათვის ლიმიტების დამტკიცება, ან ცვლილებების შეტანა სესხის ხელშეკრულებებში და სხვა) განიხილება და მტკიცდება სათავო ოფისის რისკების მართვის განყოფილების მიერ. ყოველდღიური რისკის მართვას ახორციელებენ საკრედიტო განყოფილებების უფროსები.

ჯგუფი საკრედიტო რისკის დონეს არეგულირებს ერთ მსესხებელთან ან მსესხებელთა ჯგუფებთან დაკავშირებით ნაკისრ რისკზე, აგრეთვე ეკონომიკის დარგებზე ლიმიტების დაწესებით. მსესხებლის საკრედიტო რისკის დასაშვებ დონეზე შეზღუდვებს ამტკიცებს ხელმძღვანელობის საბჭო. რეალური რისკდამოკიდებულებები ექვემდებარება რეგულარულ მონიტორინგს.

<u>საკრედიტო რისკის შეფასება</u>. ანგარიშგების დღეს სესხის დანაკარგების რეზერვის აუცილებელი დონე იანგარიშება ჯგუფური შეფასებით.

ერთობლივად შეფასებული სესხები ჯგუფდება საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლებისა და ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. ჯგუფურად შეფასების მეთოდოლოგიის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ სესხზე დანაკარგების რეზერვში აისახოს უკვე დამდგარი, მაგრამ ინდივიდუალური სესხების დონეზე ჯერ არ გამოვლენილი დანაკარგის გამომწვევი მოვლენები.

აღნიშნული პროცესი მოიცავს ისტორიული მონაცემებისა და ამჟამად დაკვირვებადი მონაცემების კომბინაციას, რომელიც ასახავს არსებულ მდგომარეობას და სესხების მიმდინარე პორტფელზე მის ეფექტს. კომბინირებული მონაცემების ამ კომპლექტის საფუძველზე მენეჯმენტი ადგენს რეზერვირების მაჩვენებლებს.

ჯგუფურად შეფასებულ სესხებზე გაუფასურების რეზერვის გამოთვლის მიზნით, ჯგუფი აფასებს რისკის შემდეგ პარამეტრებს: „დეფოლტის ალბათობა" და „დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში".

დეფოლტი განისაზღვრება სესხების გადაუხდელობის სტატუსით. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც გაუფასურება ობიექტურად მტკიცდება გადახდისუუნარობის სხვა ხარისხობრივი ინდიკატორებით.

დეფოლტის ალბათობა ფასდება რეფინანსირების განაკვეთის მიდგომით. დეფოლტის ალბათობა გამოითვლება სესხების მოქმედი მონაცემთა ბაზიდან მიღებული დრო-სერიული მონაცემების გამოყენებით. რეფინანსირების განაკვეთის უფრო მაღალ რისკის კატეგორიაში გადასაყვანად დაკვირვების პერიოდი 36 თვეა.

გაუფასურების გამომწვევი მოვლენიანი სესხების შეფასების მეთოდოლოგიით დაიშვება, რომ დეფოლტი მოხდა და გამოითვლება დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში. მასში ჩანს ის დისკონტირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სესხზე უზრუნველყოფის დაკარგვის შემთხვევაში, მისი მოპოვებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. უზრუნველყოფად გამოყენებული ქონების დასაკუთრების შემთხვევაში წარმოშობილი ფულადი ნაკადები დამოკიდებულია უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებაზე და უზრუნველყოფის თითოეული ტიპის შეფასებისა და ლიკვიდობის რისკის ფაქტორზე. ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში გამოიყენება უზრუნველყოფის სამი ძირითადი ტიპი:

- საცხოვრებელი უძრავი ქონება;
- კომერციულილ უძრავი ქონება;
- მოძრავი ქონება.

საპროგნოზო მომავალი ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას უზრუნველყოფის დასაკუთრების შედეგად, მისი მიღებისა და გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, გაყიდვამდე სავარაუდო პერიოდის განმავლობაში დისკონტირდება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

უზრუნველყოფის გარეშე გაცემულ დეფოლტიან სესხებზე დანაკარგი დეფოლტის შემთხვევაში განისაზღვრება 100%-ით.

გაყიდვამდე პერიოდი დამოკიდებულია უზრუნველყოფის ტიპზე და დგინდება დეფოლტის დღიდან გაყიდვამდე დარჩენილი დროის მენეჯმენტის შეფასებით.

რისკის პარამეტრების დადგენის მიზნით, სესხების პორტფელი იყოფა ვადაგადაცილებულ („რისკის კატეგორია") კალათებად თითოეული პროდუქტის მიხედვით (სამომხმარებლო, იპოთეკური, ონლაინ და სალომბარდო სესხები).

<u>საკრედიტო რისკისადმი დამოკიდებულების მაქსიმალური ოდენობა</u>. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის მიმართ მაქსიმალურ დამოკიდებულებას. იგი ამ აქტივების საბალანსო ღირებულების ტოლია გამოქვითვის ან უზრუნველყოფის არსებობამდე.

| | **დეკემბერი 31, 2017** | **დეკემბერი 31, 2016** |
|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | 907 | 2,412 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 10,589 | 23,549 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 928 | 527 |

<u>**უზრუნველყოფა**</u>. უზრუნველყოფის მოცულობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. უზრუნველყოფის დაშვებული სახეობებისა და შეფასების პარამეტრები დგინდება მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.

უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია გირაო საცხოვრებელ ფართებსა თუ სხვა აქტივებზე. ხელმძღვანელობა აფასებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას არსებული ხელშეკრულების შესაბამისად და გაუფასურების ზარალის რეზერვის ადეკვატურობის შემოწმებისას აკვირდება მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

### ლიკვიდობის რისკი

***ლიკვიდობის რისკის მართვა.*** ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას.

დირექტორთა საბჭო აკონტროლებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს ვადიანობის ანალიზის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას შემდგომი ფინანსური პერიოდისათვის. ლიკვიდობის კონტროლი ხორციელდება სამომავლო სავარაუდო ფულადი ნაკადების ყოველდღიური მონიტორინგის გზით.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზი:

(ა) ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადა, რომელიც იანგარიშება ფინანსური ვალდებულებების (ძირითადი თანხა და პროცენტი) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის ადრეული თარიღით, როდესაც ჯგუფი ვალდებული იქნება დაფაროს ვალდებულება; და

(ბ) ფინანსური აქტივების დაფარვის ვადა, რომელიც იანგარიშება ფინანსურ აქტივებზე (პროცენტის ჩათვლით) არადისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობისთვის და რომელიც მიღებული იქნება აქტივებზე დაფარვის საკონტრაქტო პირობაზე დაყრდნობით, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ჯგუფი ვარაუდობს, რომ ფულადი სახსრების შემოდინება სხვა დროსაა მოსალოდნელი.

შემდეგ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფების მიხედვით ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკები. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის წარდგენილ ინფორმაციას.

| | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | დეკემბერი 31, 2017 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 388 | - | - | - | - | 388 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 5,869 | 687 | 2,624 | 1,409 | - | 10,589 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები** | **6,257** | **687** | **2,624** | **1,409** | **-** | **10,977** |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 519 | - | - | - | - | 519 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 84 | 59 | 785 | - | - | 928 |
| **სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები** | **603** | **59** | **785** | **-** | **-** | **1,447** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **6,860** | **746** | **3,409** | **1,409** | **-** | **12,424** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | |
| ნასესხები სახსრები | 2,754 | 366 | 3,398 | 864 | 199 | 7,581 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები** | **2,754** | **366** | **3,398** | **864** | **199** | **7,581** |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 170 | - | - | - | - | 170 |
| **სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები** | **170** | **-** | **-** | **-** | **-** | **170** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **2,924** | **366** | **3,398** | **864** | **199** | **7,751** |
| საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი | 3,503 | 321 | (774) | 545 | (199) | |
| **საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ჯამური დეფიციტი** | **3,503** | **3,824** | **3,050** | **3,595** | **3,396** | |
| ლიკვიდობის დეფიციტი | 3,936 | 380 | 11 | 545 | (199) | |
| **ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი** | **3,936** | **4,316** | **4,327** | **4,864** | **4,673** | |

| | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | დეკემბერი 31, 2016 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 1,504 | - | - | - | - | 1,504 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 15,579 | 1,521 | 3,116 | 3,333 | - | 23,549 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები** | **17,083** | **1,521** | **3,116** | **3,333** | **-** | **25,053** |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 908 | - | - | - | - | 908 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 527 | - | - | - | - | 527 |
| **სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური აქტივები** | **1,435** | **-** | **-** | **-** | **-** | **1,435** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **18,518** | **1,521** | **3,116** | **3,333** | **-** | **26,488** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | |
| ნასესხები სახსრები | 5,254 | 751 | 13,577 | 3,523 | - | 23,105 |
| **სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური ვალდებულებები** | **5,254** | **751** | **13,577** | **3,523** | **-** | **23,105** |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 268 | - | - | - | - | 268 |
| **სულ საპროცენტო სარგებლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები** | **268** | **-** | **-** | **-** | **-** | **268** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **5,522** | **751** | **13,577** | **3,523** | **-** | **23,373** |
| საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის დეფიციტი | **11,829** | **770** | **(10,461)** | **(190)** | **-** | |
| **საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის ჯამური დეფიციტი** | **11,829** | **12,599** | **2,138** | **1,948** | | |
| ლიკვიდობის დეფიციტი | **12,996** | **770** | **(10,461)** | **(190)** | | |
| **ლიკვიდობის ჯამური დეფიციტი** | **12,996** | **13,766** | **3,305** | **3,115** | | |

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების ანალიზი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ქვემოთ მოცემული მონაცემები ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის წარდგენილ ინფორმაციას. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები არ შეესაბამება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებს, რადგან ქვემოთ მოცემული მონაცემები მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც მიუთითებს კონტრაქტით გათვალისწინებულ დარჩენილ გადახდებზე (საპროცენტო გადახდების ჩათვლით), რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში.

| | საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | დეკემბერი 31, 2017 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | |
| ნასესხები სახსრები | 13% | 2,777 | 432 | 3,591 | 1,104 | 199 | 8,102 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | 170 | - | - | - | - | 170 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | | 2,947 | 432 | 3,591 | 1,104 | 199 | 8,272 |

| | | 1 თვემდე | 1-დან 3 თვემდე | 3 თვიდან 1 წლამდე | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | დეკემბერი 31, 2016 სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | |
| ნასესხები სახსრები | 12% | 4,347 | 2,425 | 14,273 | 3,701 | - | 24,746 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | 268 | - | - | - | - | 268 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | | 4,615 | 2,425 | 14,273 | 3,701 | - | 25,014 |

***საბაზრო რისკი.*** საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ ჯგუფის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს-მიზნებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების ან ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება ჯგუფი. ჯგუფის მიერ რისკების გამოთვლის მეთოდებსა და რისკების მართვაში ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

საპროცენტო განაკვეთისა და საბაზრო რისკები იმართება ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის პოზიციის შესაბამისობის დაცვით, რაც ჯგუფს დადებით საპროცენტო მარჟას აძლევს. დირექტორთა საბჭო აწარმოებს ჯგუფის მიმდინარე ფინანსური შედეგების მონიტორინგს, აფასებს ჯგუფის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მიმართ და მის ზეგავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის იმის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობის ეფექტი მოქმედებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება გაზარდოს საპროცენტო მარჟები, მაგრამ ასევე შეიძლება შეამციროს ან პირიქით წარმოქმნას ზარალი განაკვეთების გაუთვალისწინებელი მოძრაობის შემთხვევაში.

*მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ*

საპროცენტო განაკვეთის სამართლიანი ღირებულების რისკებს ჯგუფი მართავს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის კონიუქტურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ჯგუფის ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ჯგუფის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის სამართლიანი ღირებულების ცვლილების მიმართ და მის გავლენას ჯგუფის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მგრძნობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა „რისკის ცვალებადობის შესაძლო მისაღებ ცვლილებებზე" დაყრდნობით. ამ ცვლილებების დონე განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ და გათვალისწინებულია რისკების ანგარიშებით, რომლებსაც ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას წარუდგენენ.

საპროცენტო განაკვეთის 5 ბაზისური პუნქტით ცვლილების გავლენა მოგებაზე გადასახადის გადახდამდე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე დაყრდნობით 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | დეკემბერი 31, 2017 | | დეკემბერი 31, 2016 | |
|---|---|---|---|---|
| | საპროცენტო განაკვეთი +5% | საპროცენტო განაკვეთი -5% | საპროცენტო განაკვეთი +5% | საპროცენტო განაკვეთი -5% |
| ზეგავლენა მოგებაზე გადასახადამდე | 170 | (170) | (572) | 572 |
| ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე | 144 | (144) | (486) | 486 |

***სავალუტო რისკი.*** სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების დადგენილი საფუძვლების ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ჯგუფს აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

ჯგუფის ღია სავალუტო პოზიცია იმ ძირითად უცხოურ ვალუტაში, რომელშიც იგი აქტივებსა და ვალდებულებებს ფლობს, მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

| | ლარი | 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი | 1 ევრო = 3.1044 ლარი | 31 დეკემბერი, 2017 სულ |
|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 593 | 313 | 1 | 907 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 5,637 | 4,952 | - | 10,589 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 928 | - | - | 928 |
| სულ ფინანსური აქტივები | 7,158 | 5,265 | 1 1 | 12,424 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
| ნასესხები სახსრები | - | 7,581 | - | 7,581 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 170 | - | - | 170 |
| სულ ფინანსური ვალდებულებები | 170 | 7,581 | - | 7,751 |
| ღია პოზიცია | 6,988 | (2,316) | 1 | **4,673** |

| | | 1 აშშ დოლარი = 2.5922 ლარი | 1 ევრო = 3.1044 ლარი | 31 დეკემბერი, 2016 სულ |
|---|---|---|---|---|
| ფინანსური აქტივები | | | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 285 | 2,127 | - | 2,412 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები | 11,675 | 11,874 | - | 23,549 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 527 | - | - | 527 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | 12,487 | 14,001 | - | 26,488 |
| ფინანსური ვალდებულებები | | | | |
| ნასესხები სახსრები | - | 23,006 | 99 | 23,105 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 258 | - | 10 | 268 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | 258 | 23,006 | 109 | 23,373 |
| ღია პოზიცია | 12,229 | (9,005) | (109) | **3,115** |

**მგრძნობიარობა სავალუტო რისკის მიმართ.** შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობიარობას 30%-იან ზრდასა და შემცირებაზე აშშ დოლარის ლართან მიმართებაში. 30% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებული უცხოური ვალუტით დენომინირებულ ფულად ერთეულებს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 30%-იანი ცვლილებით.

გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულებაზე დაყრდნობით, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

| | დეკემბერი 31, 2017 | | დეკემბერი 31, 2016 | |
|---|---|---|---|---|
| | ლარი/დოლარი +30% | ლარი/დოლარი -30% | ლარი/დოლარი +30% | ლარი/დოლარი -30% |
| ზეგავლენა მოგებაზე გადასახადამდე | (694) | 694 | (900) | 900 |
| | (589) | 589 | (765) | 765 |

<u>მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები</u>. ზემოთ მოცემული ცხრილი ახდენს ძირითად დაშვებებში ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი ან პატარა გავლენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ჯგუფის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე, მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტობრივ გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში საბაზრო ღირებულებით აღირიცხება. ასეთ გარემოებებში აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

შეზღუდვები მგრძნობიარობის ანალიზში აგრეთვე მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის შეხედულებას ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

**საფასო რისკი.** საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის, ან მისი გამომშვებისთვის სპეციფიური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებულ ყველა ფასიანი ქაღალდზე მოქმედი ფაქტორებით. ჯგუფზე გავლენას ახდენს მისი პროდუქტების საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ზოგად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

ჯგუფი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ. გაუნაღდებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ჯგუფი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.

**საოპერაციო რისკი.** საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს რომელიც წარმოიშვება სისტემის ავარიის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არ არსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. ჯგუფი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

## 22. შემდგომი მოვლენები

როგორც შენიშვნაში №10 იქნა ნაჩვენები, 2018 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა შეწყვიტა შპს „ფინსეკთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები სესხის პორტფელის გაყიდვის შესახებ, რამაც გამოიწვია, დამატებით 6,855 ათასი ლარის ოდენობის ნასესხები სახსრების აღიარება (შენიშვნა №10), რაც სრულად დაფარული იქნა დამფუძნებელის მიერ ჯგუფზე გაცემული წილობრივი დაფარვის ოფციის მქონე სესხით 6,855 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წლის 3 თებერვალს ჯგუფის დირექტორთა საბჭომ და მფლობელმა გადაწყვეტილება მიიღეს, შეწყვიტონ ონლაინ სესხების გაცემის საქმიანობა.